# თბილისში მყოფ დევიდ ლინჩთან პირველი ოფიციალური შეხვედრა შედგა

19-11-2017 15:21

145



პირველი ოფიციალური შეხვედრა თბილისში მყოფ დევიდ ლინჩთან - პარლამენტში ცნობილ ამერიკელ რეჟისორთან გამართულ აუდიენციას კულტურისა და განათლების მინისტრები, ასევე განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ესწრებოდა.

შეხვედრაზე იმყოფებოდნენ **ლინჩის ფონდის** წევრებიც, რომლებიც თბილისში რეჟისორთან ერთად ჩამოვიდნენ.

საუბრის მთავარი თემა საქართველოსა და **ლინჩის ფონდს** შორის სამომავლო თანამშრომლობა იყო, განიხილეს საქართველოში დევიდ ლინჩის საერთაშორისო კინემატოგრაფიული უნივერსიტეტის გახსნის შესაძლებლობა, ასევე ფართომასშტაბიანი სოციალური პროექტი, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებული პირებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას ითვალისწინებს.

# THE FIRST OFFICIAL MEETING WAS HELD WITH DAVID LYNCH IN TBILISI

The first official meeting was held with David Lynch in Tbilisi in the Parliament which was also attended by the Ministers of Culture and Education, as well as the Chairperson of Education, Science and Culture.

The members of the Lynch Foundation who arrived in Tbilisi together with the film director, also attended the meeting.

The main topic of the negotiation was future cooperation between Georgia and David Lynch Foundation. The possibility of opening David Lynch International Film School in Georgia, as well as implementation of the broad-scale social project, which comprises execution of rehabilitation program for the victims of car accidents.